# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 22 ჰარასკევი, 29 იანვარი 1910 წ. № 22



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხადამის 4 საათამდე ღირს 3 მ, ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოდღამდის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: [illegible] დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მეხამე **დროება** წელიწადი მეხამე

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური** ✦——

——✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А“, И. С. Агладзе.



წარმოდგ. № 30-31. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 30-31.

**შაბათს, 30 და კვირას, 31 იანვარს 1910 წელს**

გასტროლი ქ-ნ ნინო ჩხეიძისა, ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის და კ. ყიფიანისა.

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ახალი პიესა **ვასილ ყიფიანისა**

## სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ი. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, ვ. მესხი, მერვანიშვილი, ვ. მატარაძე, ყიფიძე, შ. საღაროვი, ც. ურუშაძე, კ. ყიფიანი.

ამ პიესისათვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „შურის ძიების ღმერთი“, „დრამატიული გამგეობის წევრი“ ი. გომართელისა.

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—96)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დისამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—258)



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 30 იანვარს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ წარმოდგენილი იქნება

### „იმედის დაღუპვა“

დრამა 4 მოქმედებად ჰეერმანისა, თარგმ. დ. მესხის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბარათაშვილი, თამარაშვილი, გოგოლაშვილი, ლეჟავა, ციმაკურიძე, ქიქოძე, შალამბერიძე; ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ინაშვილი, პეპანოვი, ზაზანაშვილი, მეტრეველი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

მეორე ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 6 თებერვალს.

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: **„უდანაშაულოდ დასჯილნი“** კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, **„ბ ძია ვანო“** ა. ჩეხოვისა და სხვა.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**



**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

### სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—94)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოხ. **გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ა პ ი ა—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—19)

**ექიმი შ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—1?)

**ექიმი კ. თ. ტყემელაშვილი** **ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და სპეციალურად **ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—10)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში** **ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—25

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დ ე მ ი დ ო ვ ი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—354)

**ექიმი გ. მ ა გ ა ა კ ი ა ნ ი** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, **სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—83/

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—3)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—87)

**ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელიზაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—46

**ექიმი ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** **ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—103)

**ექიმი მ. დ. ბ ე თ ა ნ ო ვ ი** **ქ უ თ ა ი ს შ ი,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—4)

—◀ **ვკისრულობ დაცვას** ▶—

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4 (წ.—ნ.—31)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვაია რეჩი“ უკმაყოფილოა ჩვენის რეცენზიისა კვირის წარმოდგენის შესახებ („მარგარიტა გოტიე“). ჩვენ ვწერდით, ბარონებსა და გრაფებს უხეიროდ ეცვათ და არც ოავი ექირათ კარგადაო. ამაზე გაზეთი ირონიით მოგვიგებს, განა თქვენ რეცენზენტს უნახავს პარიზელი არისტოკრატები და იცის, როგორ იცვამენ ისინი, რომ კადრულობს და სასაცილოდ იგდებს არტისტებსაო. ბავშვური ირონიაა და ისიც ტყუილია, ვითომ ჩვენ არტისტებს დავცინოდეთ. თუ სასაცილოდ ასაგდებია ვინმე, ისევ ამ არტისტების ხელმძღვანელი, დრამატიული საზოგადოების გამგეობა და უმთავრესად მისი ახლანდელი თავმჯდომარე პართენ გოთუა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ისეთ საქმეს კისრულობს, რომლისაც მართლა არაფერი გაეგება, რაც საუკეთესოდ დაამტკიცა მთელმა წლევანდელმა სეზონმა. აიღეთ თუნდა კვირის წარმოდგენა. ჩვეულებრივ ფრაკებსა და სერთუკებს არტისტებისთვის ქირაობენ და გამგეობას იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ ხეირიანი ტანისამოსი დაუქირაოს თავის არტისტებს. „მარგარიტა გოტიე“-ში ერთი მომქმედი პირი ამბობს, წელიწადში ოთხმოცი ათასი ფრანკი შემოსავალი მაქვსო და ტანზე კი ძალზე გახუნებული ფრაკი ეცვა. იქნებ დრამ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს და „ნოვაია რეჩის“ ხელმძღვანელს ბ-ნ პართენ გოთუას ჰგონია, საჭიროა პარიზში წასვლა, რომ გაარჩია გახუნებული სერთუკი და ჰუჰყიანი საყელო ახალ სერთუკისა და სუფთა საყელოსაგან!..

გაზეთი იმსაც გვისაყვედურებს, სეზონის დაწყებიდანვე ლანძღავთ ქართულ წარმოდგენებსაო. დალოცვილებო, გადაათვალიერეთ ადგილობრივი გაზეთები და ნახავთ, რამდენად აქებდნენ სხვები წლევანდელ სეზონს. ან კი რა იყო საქები და სადიდებელი? თუ რამე კარგი იყო, აღუნიშნავი არ გაგვიშვია და ჩვენი რა ბრალია, თუ წლევანდელი სეზონი სანუგეშოს ვერაფერს იძლევა...

*
* *

ამ ორი კვირის წინად სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებოდნენ, მთავრობამ გადასწყვიტა უკანვე წაიღოს სახელმწიფო სათათბიროს მიერ მოწონებული კანონ-პროექტი ყარსში საქალაქო დებულების შემოღების შესახებაო. ამას ზედ მოჰყვა სახელმწიფო საბჭოს ცენტრის და ნეიდგარდის პარტიის დადგენილება, რომ რათა მთავრობასთან და კავკასიის ნამესტნიკთან კონფლიქტი არ მოგვიხდეს, უკუვაგდოთ ეს კანონ-პროექტიო. თვით კანონ-პროექტი თავის-თავად, როგორც ვიცით, ბევრს არაფერს წარმოადგენს, სამი წლის განმავლობაში სათათბირომ ბევრი ამისთანა „ვერმიშელი“ განიხილა, მაგრამ საინტერესოა მოტივი კანონ-პროექტის უარყოფისა. კანონ-პროექტით ყარსი ნაციონალურ კურიებად უნდა დაიყოს. აქ რა თქმა უნდა, რუსი მცხოვრებლები ჰყავდათ სახეში და ზომებს იღებდნენ, რომ „ინოროდცებმა“ არ „დაჩაგრონ“ რუსები. კავკასიის ნამესტნიკი ამის წინააღმდეგი გახდა, არა ყოფილა მაგალითი, რომ ადგილობრივ მკვიდრთ რუსები დაეჩაგროთ და ეროვნულ კურიებად დაყოფა შურსა და მტრობ ს ჩამოაგდებს რუსებსა და ადგილობრივ მკვიდრთ შორისო. სახელმწიფო საბჭოს კომისიამ ნამესტნიკს ცოტად თუ ბევრად მხარი დაუჭირა და დაადგინა, ქალაქის საბჭოში ხმოსნებს ყველანი ერთად უნდა ირჩევდნენ, მაგრამ რუსის ხმოსნების რიცხვი შემდეგ გაძლიერებულ უნდა იქმნასო. როგორც ჰხედავთ, მთავრობას არ უნდა ეროვნული თანასწორობა დაიცვას ისეთ პატარა ქალაქშიაც, როგორიც ყარსია.

ჭეშმარიტი რუსები, რა თქმა უნდა, უფრო შორს მიდიან. „ზემშჩინა“ გვაუწყებს, ყარსი „ინოროდცებით“ არის სავსე და „ინოროდცები“ იმიტაც უნდა იყვნენ კმაყოფილნი, რომ მათ ყელებს არავინა სჭრის და თავისუფლად სუნთქავენო. ყარსი ხომ რუსის სისხლით არის მორწყული და თუ ოსმალეთის ყოფილი ქვეშევრდომები რუსეთის სიმაგრეს შეჰკედლებიან და არავინ აწუხებთ, ესეც მეტია მათზედო.

უბედურება ის არის, რომ აქ მარტო ყარსის ბედი არა სწყდება. ასეთსავე პოლიტიკას აწარმოებენ ყველგან და, როგორც ზევითაც დაინახეთ, „ზემშჩინის“ აზრისანი გამოდგნენ სახელმწიფო სათათბირო, საბჭოს ხელმძღვანელნი და მთავრობა.

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.**

27 იანვარს დილის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო ადგილობრივ სასამართლოს შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. მიიღო კანონ-პროექტის 25—57 მუხლები. საინტერესო არაფერი მომხდარა. მე-40 მუხლში ნათქვამია, რომ მოსამართლენი კვლავინდებურად უნდა ინიშნებოდნენ (და არა ირჩეოდნენ, როგორც ამას კანონ-პროექტი მოითხოვს) პოლონეთში და ასტრახანის, ორენბურგის და სტავროპოლის გუბერნიებში. სათათბირომ ერთი ცვლილება შეიტანა მხოლოდ—ასტრახანში ქალაქის საბჭოს შეუძლიან აირჩიოს მოსამართლენი.

**შეკითხვები.**

საღამოს სხდომაზე სათათბირომ მოისმინა ერთი შეკითხვა და შეუდგა განხილვას მეორისას, რომელიც დღესასწაულებამდე იყო შეტანილი. პირველ შეკითხვაზე ხელი უწერია 107 დეპუტატს სხვა და სხვა ფრაქციის წევრს. ეს შეკითხვა შეეხება ქვა ნახშირიან ადგილს, რომელიც ეკატერინოსლავის გუბერნიაში ეკუთვნოდა ალექსანდროვის ეკლესიას. ეს ადგილი წელიწადში 20 ათას მანეთს წმინდა შემოსავალს აძლევდა ეკლესიას. მთავრობის მარკშეიდერის სუტულოვის რჩევით, ეს ადგილი კონსისტორიას ვინმე ვოლინსკისთვის მიუყიდნია 60 ათას მანეთად. შეკითხვის აზრი ის არის, რომ სუტულოვმა შეცდომაში შეიყვანა კონსისტორია და დიდად შემოსავლიანი ადგილი გროშის ფასად გააყიდვინაო.

შეკითხვა სათათბირომ ერთხმად მიიღო. ილაპარაკა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა. როგორც იმის სიტყვებიდან აღმოჩნდა, მთავრობას განსაკუთრებული მოხელე გაუგზავნია ამ საქმის გამოსაძიებლად. გამორკვეულა, რომ მარკშეიდერს სუტულოვს მართლა შეცდომაში შეუყვანია კონსისტორია, უთქვამს—ქვა-ნახშირი გამოილია და ადგილი მალე ფასს დაჰკარგავსო, ამის შემდეგ მთავრობას საქმე გამომძიებლისთვის გადაუცია. ამ შეკითხვის შესახებ კამათი სათათბირომ სხვა სხდომისთვის გადასდო.

მეორე შეკითხვა შეეხებოდა იმ წამებას, რომელიც მთავრობამ და მისმა მოხელეებმა მიაყენეს ოპოლის კათოლიკეებს, პოლონელებს. 1877 წელს, მთავრობის ბრძანებით ამ კათოლიკეებს ეკლესია დაუკეტეს და ჩამოართვეს. შემდეგ, როდესაც გამოვიდა მანიფესტი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ, მთავრობამ პირობა მისცა კათოლიკეებს, რომ ეკლესიას დაუბრუნებდა, მაგრამ მართმადიდებელმა მღვდელმა დაუშურა საქმე, მივიდა პოლიციელებით, ძალით აკურთხა ეკლესია მართლმადიდებელ წესზე, გამოყარა ძველი ნივთები და შელახა იქ დასაფლავებულ კათოლიკეთა საფლავები. ეს შეკითხვა პოლონელებმა დღესასწაულებამდე შეიტანეს და სიტყვიერადაც აღნიშნეს მთელი ისტორია ამ საქმისა.

ეხლა ამ შეკითხვის გამო ილაპარაკა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა. მან უარ-ჰყო თითქმის ყველაფერი, რაც შეკითხვაშია მოყვანილი და განაცხადა, შეკრებილ ცნობებით საქმე სულ სხვანაირად მოხდაო, ესე იგი მართლ-მადიდებელი სამღვდელოება და ადგილობრივი ადმინისტრაცია მართალი გამოიყვანა და გაამტყუნა კათოლიკენი, რომელთაც ძალით ეკკლესია ჩამოართვეს და ამდენი ხანი უეკლესიოდ დასტოვეს.

ვრცელი პასუხი გასცა მთავრობის წარმომადგენელს პოლონელმა დიმშამ. მთავრობის წარმომადგენელი ამბობდა, რომ ოპოლში მართლ-მადიდებელი უფრო ბევრია, ვიდრე კათოლიკეო. დიმშამ ოფიციალურის სტატისტიკით დაუმტკიცა, რომ ოპოლში 2846 კათოლიკეა და 2500 მართლმადიდებელი. მართლ-მადიდებლებს სამი ეკკლესია ჰქონიათ, კათოლიკებს კი არც ერთი. ამისი მიზეზი ისა ყოფილა, რომ მანიფესტის გამოცემამდე კათოლიკეებს მთავრობა ძალით მართლმადიდებლად სთვლიდა. მრავალი სხვა უკულმართობა აღნიშნა დიმშამ. სხვათა შორის, მთავრობას 1907 წელს პირობა მიუცია კათოლიკეებისთვის, რომ ჩამორთმეულ ეკლესიების საქმეებს მალე სათათბირო გადაწყვეტს თქვენ სასარგებლოდაო, ამავე დროს-კი საიდუმლო ბრძანება გაუცია, ჩამორთმეული და უკვე ნა-

კურთხი ეკლესიები აღარ დაუბრუნდეთ კათოლიკეებსაო.

გრაფმა ბობრინსკიმ მხარი დაუჭირა მთავრობას. მან სთქვა: მე თითონ ვიყავ ხოლმში და დავრწმუნდი, რომ არა მთავრობა და მართლ-მადიდებელნი აწვალებენ და სტანჯავენ პოლონელებს და კათოლიკეებს, არამედ ეს უკანასკნელნი პირველებსაო.

ბულატმა მრავალი ფაქტი მოიყვანა იმისა, თუ რა უდიერად ექცეოდა მთავრობა კათოლიკეებს, როგორ ძალით უკეტავდა მათ ეკლესიებს და ძალით ამართმადიდებლებდა.

ამ შეკითხვის შესახებ კამათი არ დამთავრებულა. შემდეგი სხდომა 29 იანვარს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 იანვარი.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატმა ჟოლიმ შეიტანა შეკითხვა დირიჟაბლ „რეპიუბლიკის“ დაღუპვის შესახებ. ჟოლიმ, სხვათა შორის, სთქვა, საფრანგეთს ძალიან ცოტა დირიჟაბლი აქვს და სხვა სახელმწიფოებმა, უფრო გერმანიამ, ამ მხრივ ძალიან გაგვისწრესო. სამხედრო მინისტრმა განაცხადა: „რეპიუბლიკის“ დაღუპვა ჩვენი ბრალი არ არის, რადგან ყოველნაირი ზომები მივიღეთ, რომ კატასტროფა თავიდან აგვეცდინაო. გერმანიას ოქტომბერში 24 დირიჟაბლი ექნება, მაგრამ ჰაერში მფრენავი ფლოტის სიკარგე დირიჟაბლების რიცხვით არ განისომებაო. ამის შემდეგ დეპუტატთა პალატა მორიგ საქმეებზედ გადვიდა.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ საბერძნეთი და ბოლგარია ომს მოწადინებულნი არ არიან და ამიტომ ომის მიზეზი თავიდან აცილებულიაო.

**პარიზი.** სენატორმა დესტურნელდე-კონსტანმა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გადასცა, საფრანგეთის პარლამენტის წევრების რუსეთში ჩამოსვლა საერთაშორისო ზრდილობის აქტიაო. ფრანგ დეპუტატების და სენატორების რუსეთში ჩამოსვლა დამამტკიცებელია საფრანგეთის და რუსეთის მეგობრობისა. 1909 წლის ივლისს რუსმა დეპუტატებმა პარიზი ინახულეს და ჩვენი პეტერბურგში ჩამოსვლა ამის პასუხი იქნება. რუსეთში ჩვ მოვლენ ცენტრის, მემარცხენეების და მემარჯვენების წარმომადგენლები, რომელთაც რუსეთის მეგობრობა აერთებს. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი განმტკიცებულია ორთავე სახელმწიფოების შეხვედრით და ამ კავშირს უფრო განამტკიცებს საკანონმდებლო დაწესებულებების შეხვედრა და დამეგობრება.

**სალონიკი.** სამხედრო სასამართლოს წევრები სამსახურიდან გავიდნენ. მიზეზი ის არის, რომ სულთანმა ბოლგარებს სიკვდილით დასჯა სხვა და სხვა სასჯელით შეუცვალა.

**შტადგარტი.** წყალდიდობამ ვიურტემბერგის ახლო-მახლო ადგილები სულ ერთიანად წალეკა.

**ნიუ-იორკი.** მეტროპოლიტენის თეატრში დიდის ამბით მიიღეს პირი. თეატრში თავი მოიყარა 4000 კაცმა. გუბერნატორმა პირს გადასცა 10,000 დოლარამდე, რომელიც ხელის მოწერით შეჰკრიბეს. პირმა განაცხადა, ამ ფულს იმ ექსპედიციის მოწყობას მოვანდომებ, რომელიც სამხრეთ პოლიუსზე უნდა გაემგზავროსო.

**ათინა.** სინოდმა ეპისკოპოსობა ჩამოართვა ლირიის ეპისკოპოსს ამვროსის. ბრალდებოდა საეკლესიო კანონების დარღვევა და ხალხის აღელვება.

**პეკინი.** იაპონიამ და ჩინეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ჩინეთს უფლება ეძლევა მანჯურიაში იაპონიის რკინის გზებით ფოსტა გადაიტან-გადმოიტანოს. ამასთან იაპონიას უფლება ეძლევა მანჯურიაში ფოსტის 16 განყოფილება გახსნას.

### რ უ ს ე თ ი

**კიევი.** სადგურ იაგოტინაზე დააპატიმრეს რჟიშჩევის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ანტონოვი, რომელმაც 3003 მანეთი გაიტაცა. დაპატიმრებულს აღმოაჩნდა 1900 მანეთი.

**კიევი.** რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის ბანკის ბერდიჩევის განყოფილებიდან ყალბი დოკუმენტებით გაიტანეს 20,000 მანეთი. ეჭვი აქვთ ლიხტალზედ, რომელიც სადღაც მიიმალა.

### არჩევნები ფინლიანდიაში

**ჰელსინგჰფორსი.** 27 იანვარს საღამოს 10 საათამდის სოციალისტებმა მიიღეს 298,925, სტაროფინებმა 164,970, მლადოფინებმა 107,190, შვეციის სახალხო პარტიამ 97,106, აგრარიებმა 52,145 და ქრისტიანმა მუშებმა 14,610 ხმა.

**ჰელსინგჰფორსი.** 28 იანვრის საღამოს 8 საათამდის გავიდნენ: სოციალ-დემოკრატები 87, სტაროფინები 42, მლადოფინები 28, 26 შვეციის სახალხო პარტიის წევრი, აგრარიები 16, ქრისტიანი მუშა 1.

## ბაქოს ქართველთა კოლონია

სასიამოვნოდ განვცვიფრდით, წრეულს რომ გავიცანით ბაქოს ქართულ კოლონიის საზოგადოებრივი ცხოვრება და შევუდარეთ იგი შარშანდელ და შარშანწინდელისას: მაშინ თუ ახლად ფეხ-გამაგრებულ რეაქციის ზედგავლენით ან სხვა მიზეზით, ერთი ალთას მიიწევდა და მეორე ბალთას, საზოგადო ცხოვრების თუ თითქმის ნატამალი აღარც კი დარჩენილიყო და ორიოდე კაცის დაუღალავ ცდა-მუშაობას ვეღარ მოეყარა, ვერ შეექუჩებინა მცირე ნაწილი მაინც იქით გადახვეწილ ოთხი ათასზე მეტ ქართველთა,—წრეულს სულ სხვა გვარი, სულის გამახალისებელი, სურათი გადაგვეშალა თვალ წინ. სხვაგან ჩვენში იშვიათად შეჰხვდებით ისე ხალისიან სოლიდარულ და ნაყოფიერ კულტურულ მუშაობას, როგორიც ეხლა ბაქოში სწარმოებს.

და ასეთი სასწაული მოუხდენია პატარა კულტურულ ოჯახს, ამ რამდენიმე თვის წინად იქ დაარსებულს, ქართულ სკოლას. ამ ცოდნის სალაროს ჩაუყრია მკვიდრი ერთობის საძირკველი და შეუქუჩებ-შეუგუებია: ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილება, ადგილობრივი დრამატიული წრე, მცირედ ღა დარჩენილი და გაწეწილი, ოდესღაც კარგი წიგნთსაცავ-სამკითხველო, ახლად გამოსულ ქართულ შინაარსიან გაზეთ „მარცვლის“ გამომცემელთა წრე და სხ. ამიტომაც რა გასაკვირველია თუ ყველა ის, ვინც სრულიად არ გადაჰყოლია კერძო, ეგოისტურ ყოფას, ვისაც ოდნავი ნაპერწკალიც უღვივის საერთო საზოგადო საქმისადმი, ან ვინც კი მოწადინებულია თვისი აზრი სხვას გაუზიაროს,—ყველა მიიწევს ამ უკვე ძვირფას შენობისაკენ. თითქმის ყოველ საღამოს ამ შენობაში შეჰხვდებით მრავლად თავ-შეყრილ სხვა და სხვა წრის პირთ, რომელნიც იზიარებენ საერთო ჭირ-ვარამს.

განსაკუთრებული სიცხოველე ეტყობა ეხლა, რადგან მზადებაში არიან წლიურ ქართულ საღამოსთვის, რომელიც უნდა გაიმართოს მომავალ თებერვლის ორში და რომლის შემოსავალიც ითვლება უმთავრეს წყაროდ ადგილობრივ ქართ. საზოგადო დაწესებულებათა შესანახად. აქ ეხლა ყველა ერთის ხალისით და მოწადინებით არის გამსჭვალული, პირნათლად მოაწყონ ეს საღამო. როგორ კარგად ჰმართავენ საღამოს, ეს იქიდანაც შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ საღამოს მოწყობაში დაახლოვებით ნავარაუდევია ხარჯი არა ნაკლებ ორას თუმნისა. უკვე მოწვეულნი არიან ადგილობრივი საუკეთესო მომღერალნი, რამდენიმე ნაირი მუსიკა; შემდგარია ბ-ნ ვლადიმიროვის ლოტბარობით ქართულ-რუსული ხორო. საღამოს დიასახლისებად მოწვეულნი არიან ყველა ეროვნების მაღალი წრის წარმომადგენელნი. ყველა ამის გამო გასაკვირველი არ არის, თუ საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრება: მეტი ნაწილი ბილეთებისა უკვე გაყიდული იყო ჯერ ისევ 22-24 იანვარს.

თვით ორ განყოფილებიანი, პატარა და კოხტად მოწყობილი ქართული სკოლა მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ სკოლაში სულ 20-25 მოსწავლესა მოელოდნენ, მაგრამ მთხოვნელი მრავალი აღმოჩენილა და ჯერ-ჯერობით, სივიწროვისა გამო, მიუღიათ 48 მოსწავლე. აქ შეხვდებით ყველა წრის შვილებს. მშობლები მოწადინებულნი არიან შვილებს ჯეროვანად შეასწავლონ ქართული ენა. ამიტომ ეტანებიან ამ სკოლას. ამას გარდა ქართველი საზოგადოება მეტად ემადლიერება მასწავლებლებს ბ-ნ რამიშვილს და ქ-ნ გამრეკელს, რომელნიც დიდის ხალისით, სიყვარულით და მეცადინეობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს.

ბაქოს ქართველი საზოგადოება აპირებს გააფართოვოს ასე კარგად დაწყებული საქმე: უკვე მიუმართავთ ადგილობრივ ქალაქის გამგეობისთვის, რომელიც დაჰპირებია უფასოდ მიწის დათმობას; ბაქოელები აპირებენ დიდ საკუთარ შენობის აგებას: სკოლისთვის, თეატრისთვის და ეკლესიისთვის.

გ. ა—ცხელი.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **აკაკი ტფილისში.** როგორც ვწერდით, ევროპაში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი. აკაკი ცოტა ხანს ბაქოში იყო და ეხლა ტფილისშია. როგორც გავიგეთ, მგოსანს განზრახვა აქვს დასწეროს და გამოაქვეყნოს მგზავრის წერილები. ევროპაში მგოსანს რამდენიმე ახალი თხზულებაც დაუმთავრებია.

✦ **მილოვის მოკვლის განზრახვა.** ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს განუზრახავთ მოკვლა ვაჭართა მამასახლისის ძმის პირველ გილდის ვაჭრის ალექსანდრე ნაზარის ძის მილოვისა. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ამოურჩევიათ 27 იანვარი. ამ დღეს, საღამოს 6 ნახევარ საათზე, დახურულ ბაზართან ალექსანდრე მილოვი ჩამჯდარა ეტლში სახლისაკენ წამოსასვლელად. ამ დროს ბოროტგანმზრახველებს ოთხჯერ უსროლიათ მილოვისთვის რევოლვერი. ერთი ტყვია მოჰხვედრია მუცელში და მეორე მხარეს გავარდნილა. რადგან ჭრილობა სუსტი აღმოჩენილა, მილოვი ეტლიდან ჩამომხტარა, გაურბენია ავლაბრის ხიდი და მეორე მხარეს დუქანთან ჩაკეტილა. სროლაზე მისულან პოლიციელნი, დაჭრილი ჩაუსვავთ ეტლში და მიხეილის საავადმყოფოში წაუყვანიათ. ექიმის შემოწმებით, ჭრილობა საშიში არ არის. პოლიციამ ამ ბოროტ-მოქმედებაში ეჭვი მიიტანა მილოვის მაღაზიის ნოქრებზე და ამავე დღეს დააპატიმრა არტემ მირზოევი, ნახიჩევნელი მამიკონ ტერ-აბრამოვი, ტფილისის მოქალაქე სარქის მიღოვი, ნახიჩევნის მაზრელი ავეტის მარქარიანცი და ნახიჩევნის მოქალაქე კარაპეტ გასპარიანცი. გაჩხრევის დროს ნოქარს ტერ-აბრამიანცს აღმოაჩნდა ბრაუნინგის რევოლვერი და 10 პატრონა. ტერ-აბრამოის მოწმობა ჰქონდა რევოლვერის ტარებისა. რევოლვერი უნახეს მირზოევს 14 პატრონიანად. ამასაც ნება ჰქონია რევოლვერის ტარებისა.

✦ **ფ.-ტელეგრაფის კანტორის გადატანა.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალური კანტორა ლორის-მელიქოვის ქუჩიდან გადააქვთ პეტერბურგის ქუჩაზე (მიხეილის ქუჩასთან), ფეფელოვის სახლში. ძველ ბინაზე, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, იქნება მხოლოდ კანტორის ქალაქის განყოფილება, რომელიც ამ ჟამად კუკიაშია. ძველი შენობის ნაწილში ბინებს მისცემენ კანტორის მოსამსახურეებს.

✦ **წრის კრება.** კვირას, 31 იანვარს, ტფ. სათავადაზნაურო ბანკის სადგომში დილით 12 საათისთვის, დანიშნულია საზოგადო კრება ზუბალაშვილის სახალხო სახლში წარმოდგენების მართველ წრისა. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში გამგეობის მოქმედებისა, აირჩიოს გამგეობის წევრნი და მიიღოს ახალი წევრები.

✦ **დახმარება ქალაქის თავს.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან. იუწყებიან, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება; საჭიროა ფული, მოგვაშველოთო. გამგეობა შეეკითხა, რამდენი იქნება საჭირო მორჩენამდეო. გამგეობას აზრადა აქვს, შეიტანოს საბჭოში მოხსენება ქალაქის თავს მიეცეს კიდევ 2000 მან.

✦ **საავადმყოფოს პირველი პავილიონი.** 2 თებერვალს ტფ. ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ოფიციალურად გაიხსნება ავლაბარში ქალაქის საავადმყოფოების პირველი პავილიონი. საავადმყოფოს გახსნაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი ჟურნალ-გაზეთებისა, საზოგადო დაწესებულებებისა და ადმინისტრაციისა. დღეს ქალაქის

## ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა.

-10.*)

„ბედნიერების მორალი“ ისევე ძველია, როგორც ფილოსოფიური ეთიკა საზოგადოდ, იმიტომ რომ სოკრატი შეიძლება სრულიად სამართლიანად ჩაითვალოს როგორც ეთიკის, ისე მეორის მამამთავრად. არა ბოროტი ნებისყოფა, არამედ ინტელექტუალური სისუსტე, უცოდინარობა არის წყარო ზნეობრივ სიდუხჭირისა და შეცოდებისა, ცოდნისა და უცდომელ აზროვნებისაგან კი აუცილებლად სიქველე და სათნოება გამომდინარეობს. არავინ ჩაიდენს განზრახ ბოროტებას, არავინ მისცემს მას უპირატესობას სიკეთის წინაშე, იმიტომ რომ ბოროტების შედეგი უბედურებაა, კეთილ მოქმედების შინაგანი ეფექტი-კი ბედნიერება და კმაყოფილებაა. ბოროტი ნებისყოფა საზოგადოდ არ არსებობს, ვინაიდან შეცოდების და ბოროტების მიზნად დასმა უბედურების ნდობა იქნებოდა, უბედურება-კი არავისთვის არის სასურველი. საზოგადოების და პიროვნების ბედნიერებაა ზნეობრივ მოქმედების საზომი და საბოლოო მიზანი ანუ, უკეთ ვსთქვათ, უშამავლო ეფექტი.

მაგრამ ბედნიერების ცნების ფორმალობა და ნაკლულევანება თითქმის მაშინვე გამოაშკარავდა, როგორც კი წამოყენებულ იქმნა იგი ფილოსოფიურ ეთიკის მთავარს პრინციპად. რა არის ეს ბედნიერება? ძნელია ისეთ ადამიანის პოვნა, რომელიც ბედნიერებას არა სთვლიდეს თავის შეგნებულ ლტოლვის მიზნად, მაგრამ იშვიათად მოიძებნება ორი ისეთი პიროვნება, რომელთაც ერთი და იგივე შინაარსი შეჰქონდეთ ამ გამოურკვეველს საგანში. ხშირად ერთი უდიდეს ბედნიერებად სთვლის სწორედ იმას, რასაც მეორე შეიძლება უსაშინელეს უბედურებად მიიჩნევდა. და მართლაც, ორივე ის ერთი მეორის მოწინააღმდეგე ეთიური სკოლა, რომელიც სოკრატის მოძღვრებისაგან გამოვიდა, ევდემონიას აღიარებს ზნეობრივ მოქმედების მიზნადაც და უდიდეს სიკეთედაც. მაგრამ მაშინ, როცა ანტისთენისა და ცინიკურ მიმართულებისთვის მისი შინაარსი მოთხოვნილებათა შემცირებაში და აღკვეთაში, გარეშე ძალთაგან დამოკიდებულებასა და თავის თავით კმაყოფილებაში, უბრალოებასა და ბუნებრივობაში მდგომარეობს, არისტიპოსისა და ცირენაიკელებისთვის ის, პირიქით, აუცილებლად უზრუნველს განცხრომას, მეტს სიამოვნებას, ცხოვრების სიხარულს, მოხერხებულ მომენტით სარგებლობას და ცხოვრების ფიალის ბოლომდის დაცლას ჰგულისხმობს. ცინიკოსი ბედნიერებას ცარიელს კასრშიაც-კი პოულობს და სავსებით კმაყოფილი იქმნებოდა, რომ ალექსანდრე მაკედონელი წინ დგომით გამათბობელს მზის სხივებს არ დაუფარავდეს, ცირენაიკელისთვის-კი ბედნიერება მხოლოდ ცხოვრების მხიარულს და შფოთიანს ნადიმშია, ისევე ხანგრძლივში, როგორც თვით ამქვეყნიური არსებობა. ძნელია უფრო თვალსაჩინო განსხვავების წარმოდგენა, ვიდრე ისაა, რომელიც ამ ორს მიმართულებას ჰყოფს, თუმცა ორივეს თითქო ერთი და იმავე „ბედნიერების“ ძიება უძევს საძირკვლად. რა აქვს ცინიკურს და ჰედონისტურს „ევდემონიას“ საერთო, გარდა უშინაარსო სქემისა, უსისხლ-ხორცო ცნებისა?

შემდეგაც თვითეულს ეთიურს მიმართულებას თავისებურად ესმის ბედნიერება და თვითეული მათგანი განსხვავებულს სურათს ჰხატავს ცარიელს „ევდემონისტურს“ ჩარჩოებში. მაგრამ სქემატიური ჩარჩო მაინც სქემატიურს ჩარჩოდ რჩება, ჩონჩხისებური ფორმა კი არასოდეს არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთის რამის მიზნად, რაც თვითონ ცხოვრების განუზომელის შინაარსითაა აღვსილი. ყოველს ჭეშმარიტად ზნეობრივს მოქმედებაში, რა გინდ მცირედი და უმნიშვნელო იყოს იგი პირველის შეხედვით, ძლიერ მრავალ-მხრივი, ხშირად მიუწდომელი და განუსაზღვრელი ფსიხიური განცდანია დამალული, რომელნიც არასოდეს არ მოთავსდებიან ვიწროდ გამოჭრილს ჩარჩოებში და არც შეეპუებიან მათ გასარღვევად.

ევდონომისტია დიდი არისტოტელიც, ეს ერთი მუდმივ შეურყეველი ქვაკუთხედთაგანი ყოველგვარ ადამიანურ ცოდნისა, პიროვნება, რომელმაც თითქო მართლაც ერთს მეში რამდენიმე მოათავსა და განახორციელა. მაგრამ მას თავის მხრივ კიდევ სულ სხვა ნაირად ესმის ზნეობრივ იდეალისა და უდიდეს სიკეთის შინაარსი: მისი ევდემონია აშკარად განსხვავდება როგორც სოკრატის ცალმხრივ ინტელექტუალურ მორალის და პლატონის ტრანსცენდენტალურ ნეტარებისა, ისე ცინიკურ და ჰედონისტურ კმაყოფილებისაგან.

ყოველი ლტოლვა, როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს სფეროში, აუცილებლად რაიმე სიკეთისკენ არის მიმართული. დიდია ამ სხვა და სხვა სიკეთის რიცხვი და ვითარებითი განსხვავებაც არსებობს მათს შორის; თვითეულს მათგანს ფასი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მეორე უფრო მაღალ სიკეთის საშუალებად ითვლება: მაგალითად, ჯანსაღობა ძვირფასია მხედრისთვის სიმამაცის მისაღწევად, ხოლო სიმდიდრე ხელგაშლილ ადამიანისთვის ქველმოქმედების საწარმოებლად ან ცხოვრების სიტკბოების მაძიებელისათვის სწორედ ამ სიტკბოების შესაქმნელად. თავისმხრივ სიმამაცე, ქველმოქმედება და სიამოვნება საშუალებანი არიან გამარჯვებისა, კეთილდღეობისთვის და სხ. მაგრამ არსებობს ერთი სიკეთე, რომელიც შეადგენს ყოველ ლტოლვის უკანასკნელს მიზანს და რომელიც აღარ შეიძლება სხვა რაიმე უფრო მაღალ ღირებულების საშუალებად ჩაითვალოს: ეს არის ბედნიერება, მდგომარეობის სისრულე, დამაკმაყოფილებელი თავისთავად, სხვა ნივთის დაუდასტურებლადაც.

რაღაა შინაარსი ამ სრულ ყოფნისა, რა უნდა ჩაითვალოს ადამიანისთვის უდიდეს ბედნიერებად? თავის განსაკუთრებულ ბუნების მიხედვით მოქმედება, ე. ი. უწინარესს ყოვლისა, აზროვნება, გონებრივი შემოქმედება, ფილოსოფიური შემეცნება. ყოველ არსებისთვის ბედნიერების უტყუარი წყარო იმ სპეციფიურ ძალთა და თვისებათა ხეირიანად მოხმარებაა, რომელნიც მისთვის მიუნიჭებია ბუნებას. როგორც, მაგალითად, მემუსიკის ვარგებულობა ძლიერ მუსიკალურს ნიჭში აშკარავდება, ხოლო მექანდაკისა ძლიერს მხატვრულს შესაძლებლობაში, ისე ადამიანის ეთიური სიავ-კარგე საზოგადოდ უპირველესად მის განსხვავებულ ნიჭის მოქმედებაში ისახება. ადამიანობის დამახასიათებელი ნიჭი კი, რომელიც მას ყველა არსებაზე მაღლა აყენებს, გონებაა. ამიტომ სიბრძნე—სინტეზი ბუნებრივ ჭკუისა და შეძენილ მეცნიერებისა—არის უდიდესი სათნოება, ხოლო თეორეტიული შემოქმედება ანუ აზროვნება ჭეშმარიტი შინაარსი სრულ ევდემონიისა.

დიადია ის სიამოვნება, რომელიც გონებრივ შემოქმედებისაგან გამომდინარეობს, სპეტაკი, ხანგრძლივი: ღვთაების და უკვდავების სიახლოვეს ჰგრძნობს აქ ადამიანი და ამიტომ მას შეჰშვენის რაც შეიძლება ინტენსიურად და ფართოდ ისარგებლოს ამ თავის ზეციურ უპირატესობით. მაგრამ მის ბუნებაში მოქმედებენ სხვა ნიჭნიც, რომელნიც უნათესავებენ მას სხვა დაბალ არსებათ: აფექტნი, ვნებათა ღელვანი, გრძნეული გულისთქმანი და ნდობანი. აქ ზნეობრივ პიროვნების ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრივ მათ შორის ჰარმონია შეჰქმნას და განამტკიცოს, ხოლო, მეორეს მხრივ, მთელი ეს სფერა გონების ბატონობას დაუქვემდებაროს. ესაა საძირკველი კეთილ ნებისყოფისა: ორ უკიდურესს გულის თქმას შორის პიროვნება ეძებს სწორ საშუალო მდგომარეობას და საზრიან მიზანთა შუქით ანათებს მას.

მთელი ამ ეთიურ აზროვნებისგან ნათლად გამოსჭვივის გადამეტება ჭკუა გონების მნიშვნელობისა, ასე ადვილი გასაგები არისტოკრატიზმით გამსჭვალულ ბერძნის პირში. იმ ხალხის წარმომადგენელი, რომელიც თითქმის ყოველგვარს შრომას, გარდა ხელოვნებისა და ფილოსოფიისა, პოლიტიკისა და ომისა, სამარცხვინოდ და დამამცირებლად სთვლიდა, თეორეტიულ შემოქმედების და დატკბობის გარეშე მართლაც ბედნიერებას სრულს ბედნიერებად ვერ მიიჩნევდა. მაგრამ გადაჭარბება სხვა მხრივადაც არის საგრძნობელი. დღეს ჩვენთვის საიდუმლოებას არ შეადგენს არა მარტო ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი ადამიანობა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე გონებრივი შემოქმედება და შეთვისება, რომ შეიძლება მის განსხვავებულს ბუნებას სხვა ფსიხიურნი თვისებანი არა ნაკლებ ახასიათებენ, ვიდრე მშრალი თეორეტიული განსჯა და მოსაზრება: ჩვენ არც თეორეტიულს „ბედნიერებას“ და „სათნოებას“ ვაყენებთ ისე მაღლა. შემეცნების სფეროში ჩვენ ნაგემები გვაქვს მწარე ნაყოფი იჭვიანობისა და სკეპტიციზმისა, გონებრივ მომწიფების შედეგი, ბევრ გზის უცნობი დოგმატიურის რწმენით გამსჭვალულ ელლინურ ფილოსოფიისთვის. „რა არს ჭეშმარიტება“? ვკითხულობთ ჩვენ პილატესავით და როგორც მას, ისე აღარც ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის პასუხი, რომელსაც ქრისტე იძლევა ამ საკითხზე. სრული ჭეშმარიტება სფერიულს წრეში მომწყვდეული არ აღმოჩნდა და არც ისე ადვილად ჰხდება ვაცობრიობის საკუთრებად, როგორც ეს ბერძენ კოსმოლოგებს ეგონათ,

*) იხ. „დროება“ № 19.

თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი წარუდგება ნამესტნიკსა და იმის მეუღლეს და მიიწვევს საავადმყოფოს კურთხევაზე დასასწრებლად.

✦ **მიწების გამიჯვნა**. „კასპის" სიტყვით, ამ ჟამად კავკასიის უმაღლესი მთავრობა საჩქაროდ აგროვებს მასალას, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგნენ ყარსის, დაღესტანის, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქების მიწების გამიჯვნას. კავკასიის სხვა ნაწილებში მიწების გამიჯვნა თითქმის გათავდა.

✦ **სატეხნიკო განათლებაზე**. შაბათს, 30 იანვარს, მოხდება კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების საზოგადო კრება. პროფესორი ხარიჩკოვი წაიკითხავს მოხსენებას — უმაღლესი სატეხნიკო განათლება რუსეთში.

✦ **რწმუნებულების კრება**. 29 იანვარს მოხდება ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულთა კრება. კრება განიხილავს რამდენსამე საკითხს, მათ შორის, 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

✦ **შუამდგომლობა**. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, ნება მიეცეს გაჰყიდოს საბაღოსნო სასწავლებლის ეხლანდელი ადგილი მუშტაიდთან და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისთვის შეიძინოს ადგილი თავ. მუხრანსკისა და ყარანგოზიშვილისა მცხეთასა და ქსანკას შუა (ტ. ლ.)

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოება**. 21 იანვარს მოხდა კრება კავკასიის ქალთა საზოგადოებისა. დაესწრო მრავალი ხალხი. ბ-ნი შახნაზაროვი თავის ლექციაში შეეხო იტალიის განახლების დროს და მაშინდელ ქალებს. აღნიშნა, რომ მრავალი ქალი განთქმული იყო თავის მჭერმეტყველობით და ცოდნით. ბევრს ღვთისმეტყველების კათედრაც ეჭირა. ქ-ნი პასიუკევიჩი შეეხო ქალების აღზრდას. აღნიშნა, რომ ძველ სპარტაში, სადაც სხეულის სისაღეს უპირველეს ყურადღებას აქცევდნენ, ქალებიც ამ იდეალის თანახმად იზრდებოდნენ. დროთა ვითარების გამო შეიცვალა ქალების აღზრდის იდეალი. ბოლოს დროს იბსენმა თავის „ნორაში" გამოამჟღავნა, რამდენად არ შეესაბამება ქალის აღზრდა ეხლანდელ ცხოვრების იდეალს. „მე, — ამბობს ნორა: ეხლა მივხვდი, რომ ყველას ხელში ტიკინა ვყოფილვარო". ბოლოს კრებაზე წაიკითხეს გეგმა მუშა ქალთა კლუბისა. კრებამ გეგმა დაიწუნა და გადასცა კომისიას, რათა შეავსონ და ხელმეორედ წარუდგინონ კრებას.

✦ 27 იანვარს მოხდა სხდომა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. საბჭომ მთელი სხდომა მოანდომა საზოგადოების მიმდინარე წლის აღრიცხვას. საბჭომ აღრიცხვის პროექტი დაამტკიცა და დაადგინა, დაბეჭდოს იგი და 17 თებერვალს სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებას წარუდგინოს.

✦ 27 იანვარს დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული გრიგოლ გიორგობიანი, რომელიც ნება დაურთველად დაბრუნებულა. ამავე დღეს დააპატიმრეს გარეგინ პოღოსიანცი, რომელიც დაღესტნის პოლკიდან გამოქცეულა და იმალებოდა. პოლიციის მე-5 ნაწილში რამდენიმე უბანი გაჩხრიკეს და 23 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს.

## მოწერილი ამბავი

**გორი**. 24 იანვარს გორის საკრებულო ტაძარში ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადა პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ „ნაკადულის" რედაქტორის მარიამ დემურიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა პატივცემულმა ნიკო ლომაურმა, რომელმაც დაასურათა განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა. სამწუხაროდ, ვერ მოესწროთ დროზე შეეტყობინებინათ საზოგადოებისათვის, რის გამოც საზოგადოება იმდენი ვერ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო.

გორს უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლება დაეტყო. სხვა საქმეთა შორის, გორელმა ინტელიგენციამ მხნედ მოჰკიდა ხელი აქ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების დაარსებას. ორ დღეში უკვე 45 წევრი შეიძინეს, რომელთაც საწევრო ფული წინდაწინვე შეიტანეს. ამათ გარდა ბევრი შეჰპირდა კიდევ წევრობას. მუშა-ხელოსანი ხალხი, რასაკვირველია, ერთად ვერ შესძლებს საწევრო 3 მანეთის გადახდას, ამიტომ ეხლავე ფიქრობენ, რაკი აქ განყოფილება დაარსდება, ... დაფიქრება ... წვრილ-წვრილად გადაახდევინონ შეძლებისდაგვარად. საერთო კრება დანიშნული იყო 28 იანვრისთვის გამგეობის ამოსარჩევად. განყოფილებისადმი თანაგრძნობას იჩენენ უმეტესად ინტელიგენცია და წვრილი ვაჭრები. მდიდრები ყურს არ იბერტყენ. იმათთვის სკოლებიც ბევრია და წიგნებიც. ერთ პირველ გილდიის ვაჭარს თურმე ერთს საათს ეხიხინნენ და ვაი-ვაგლახით 1 მან. ძლივს ამოადებინეს. წერა-კითხვის საზოგადოების მნიშვნელობა სრულებით არ ესმის მცხოვრებთა უმრავლესობას. მუშა ხალხი როგორ გაუგებდეს, როცა სემინარია გათავებულ მღვდელსაც კი არ ესმის ამ საზოგადოების მნიშვნელობა აწმყოსა და მომავალში. თურმე ეკითხება: ეგ რა საზოგადოებაა, სად არის? რას აკეთებს? მთავრობისაგან ნება დართულია თუ არაო? ეს შემთხვევა დიდად დასაფიქრებელია. ოც-და-ათ წელიწადზე მეტია, რაც ეს ერთად-ერთი ეროვნული საზოგადოება გვაქვს, და სემინარიაში სტუდენტის ხარისხით კურს-გათავებულ მღვდელს ამ საზოგადოებაზე არა გაუგონია-რა! სასაცილოა თუ სატირალი?!

უეჭველად და უეჭველად საჭიროა დაიბეჭდოს და რაც შეიძლება ძალიან იაფად გაიყიდოს (უკეთესი იქნება მუქთად დარიგდეს) წიგნაკები, სადაც ადწერილი უნდა იყოს ადვილ გასაგებ ენით მნიშვნელობა ამ საზოგადოებისა კერძოდ ჩვენთვის და საზოგადოდ სხვა ქვეყნებში. აღწეროს მოღვაწეობა ჩვენების საზოგადოების „მატიცასი", რაიც ენაყოფილად არ ჩაივლის. წიგნი შესდგეს რიგიანად, თავი და თავი ის არის, თორემ ფასის გადახდას და გავრცელებას განყოფილებაც ივისრებს.

მერე რამდენი საქმე ექნება განყოფილებას? მთელი ქართლი ღვთის ანაბარას არის გაშვებული. არსად სკოლები, არსად სამკითხველოები. ამდენა ქალაქში ერთი სამკითხველო არ იყოს, სწორედ გასაოცარია: თუმცა გახსნა არის ნაკადულის თავის წიგნის მაღაზიასთან, მაგრამ მეტის-მეტად პატარა ოთახი უჭირავს და არც მკითხველი სჩანს. ძნელად თუ დანახარჯი აუნაზღაუროს. ახალი განყოფილება უპირველეს თავის მიზნად, უეჭველია, სკოლების გახსნას დაისახავს, თუ კი სახსარი ექნება. სამჯობინო იქნებოდა, მოძრავ სკოლებს მოაწყობდნენ წერა-კითხვის გასავრცელებლად ქართლში საზოგადოდ პატარა სოფლებია. და ადგილობრივ დაარსებულ სკოლებს იმდენი მნიშვნელობა არ ექნება, რამდენიც მოძრავს, რომელიც ხუთ ან ექვს თვეს, ან ნაკლებს ერთს სოფელშია, აქ ასწავლის წერა-კითხვას, მერე მეორეში გადავა, მესამეში და მერე ისევ პირველს დაუბრუნდება. აქ ვისაც წინა წელს წერა-კითხვა ასწავლა, ისევ შეაგროვებს და გაამეორებინებს, ამავე დროს მეორე ახალ ჯგუფსაც ასწავლის. სულ ორ ჯგუფად ეყოლება დაყოფილი მოწაფეები და ადვილითაც გაუძღვება ერთი მასწავლებელი, თუ ცოტა მხნეობა მაინც შესწევს. ბარემ თუ კი გვეყოლებიან საქმის ფანატიკოსები, ყველაფერიც გაკეთდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა კაცები წალიან ნაკლებად გაგვაჩნია. ჩვენ კი უბრალო მომაკვდავნი ვართ საკუთარ უფეროდიურ ჭორვარამში ყელამდე ჩაფლულნი.

ჩვენებური ინტელიგენ-მოწადინებულია დაარსოს ადგ.-მამულ. შემძენთა დამხმარე კამის.ან საერთო-ბანკ., რომელიც გაუწევს დახმარებას უმიწაწყლო ხალხს როგორც ფულით, ისე სხვა საშუალებით. ინციატორი, მეთაურნი ამ საქმისა, არავინ გვყავს, თორემ 100 მან. და 50 მანეთიან პაის გადამხდელი ბევრს იშოვის კაცი. აქ სურვილი გამოთქვა ერთ-ერთ კრებაზე, ტფილისის სამეურნეო ბანკი კარგს იზავს, თუ ამ საქმეს იკისრებს და თავის მოქმედებას გააფართოვებსო. მაგრამ სურვილი სურვილად რჩება, ბანკები არაფრად აგდებენ გლეხ-კაცის სვე-ბედ.

გორის მახლობლად ბერბუკში დაესახლა რვა კომლი კათოლიკე ქართველი. ესენი გადმოსახლდნენ ახალციხის მაზრიდან, აქ იყიდეს მამასახლისგან 15 დღიური მიწა, ნახევრად ხილის ბაღია გაშენებული, მისცეს 5000 მანეთზე მეტი, აშენებს სახლები და კიდევაც იშენებენ. ძალიან მხნე ხალხია, რომ იტყვიან, სწორედ ქვას აღნობენ. ადგილი ძალიან მოსწონთ და კარგადაც ცხოვრობენ. კიდევაც აპირებენ ყიდვას, თუ კი გამოუჩნდათ ახლო-მახლო გასაყიდი მიწები. ცოტა ეს მაფიქრებს, რომ როცა განაპირიდან შუაგულისკენ დაიწყებს ხალხი გადასახლებას, არ არის კაი ნიშანი, იმ მხარეში ვერ არის ქართველობის საქმე სასურველად, რომ ეს ელემენტი ცენტრისაკენ იწევს. სულ სხვა საქმეა აღმოსავლეთ საქართველოში, იქ ცენტრიდან ნაპირისკენ გაიშალა ხალხი. ოსობაც ძალიან ჩამოიჩვია ბარათ. დღე და დღე ემატება გორს ოსების მიერ გახსნილი სამიკიტნოები და საწვრილმანო დუქნები: ძალიან მხნე და მშრომელი ხალხია და ოსობაც სულ ამათთან მიდის.

აქეთ დარების შემდეგ წვიმიანი ამინდები დაიჭირა. შეშისა და ნახშირის ამისთანა იაფობას არავინ შესწრებია. რაც უნდა დიდი ურემი იყოს, 2 მ. მეტს არავინ მისცემს, წინად საპალნე ნახშირი 2 მ. 40 იყიდებოდა, ეხლა კი იმავე საპალნეში 2 მ. მეტს არავინ მისცემს. არც პური ძვირი. კალოზე თუ კოდი 5 მ. ფასობდა, ეხლა 4 მანეთია; არც საქონლის საჭმელია ძვირი. შარშანდელივით რომ მძიმე ზამთარი იყოს, ერთი მბდავანი აღარ გადარჩებოდა, ისე ცოტა იყო ბზე და თივა. ეხლა კი ვისაც თივა ჰქონდა, ისევ ისე გასასყიდი აქვს, საზოგადოდ, სოფლის ნაწარმოები უველაფერი იაფია. ამ რუსეთის ფქვილმა ძალიან საქმე ჰქნა. ეხლა კოდი პური 6-7 მანეთი იქნებოდა, რომ რუსეთიდან არ მოდიოდეს ფქვილი.

**ბოცოცა.**

---

**ახალციხე**. წელს ჩვენსკენ ძალიან სუსტი ზამთარია. გაზაფხულსა ჰგავს. თოვლისა და ყინვის მაგიერ წვიმებია. ავადმყოფობა გახშირდა. წითელა, ყვავილი და სოფლე მოდებულია, მეტადრე გარეშე სოფლებში.

წელს წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ ბიბლიოთეკას ბედმა გაუღიმა. შემოსწირეს ჟურნალ-გაზეთები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა: ექ. ივ. ასათიანმა — „განათლება" და „Запросы Жизни"", ოქრ. გვარამაძემ — „Бирж. Вѣд.", გ. ბ. მღებრიშმა — „ჯეჯილი" და იოს. მაისურაძემ — 3 მან. ფულად.

**ა. ვ—ძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**გორი**. 24 იანვარს გორში სცენის მოყვარეებმა თავ. ზაალ მაჩაბლის მონაწილეობით ეგრედ წოდებულ „რკინის გზის თეატრში" წარმოადგინეს ილია ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა" და ვოდევილი „ბნელ ოთახში". წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. არ შემიძლიან რამდენიმე ნაკლი არ ავღნიშნო. გეგეშიძეს ეტყობოდა, რომ როლი არ იცოდა — ყოყმობდა და დიდ პაუზებს აკეთებდა. მუშებს (გლეხებს) ეტყობოდათ, რომ პირველად გამოსულიყვნენ სცენაზე — ძალზე ჰკრთებოდნენ. კარგად შეასრულეს გიგო ყანჩაველმა — გაბოს როლი, ნატალია ბასილოვამ — თამრიკოს როლი და ბათიევმა — პეპიას როლი.

„ბნელ ოთახში" მონაწილეობა მიიღეს თავ. ზაალ მაჩაბელმა და ქ-ნმა ხახანიშვილმა. ორივენი კარგები იყვნენ. ძველმა მსახიობმა, მოხუცმა მაჩაბელმა ძალზე აცინა საზოგადოება. ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

---

**ახალციხე**. ნინო ქობულაძის მეთაურობით საკრებულო დარბაზში დასდგეს ქართულ-სომხური წარმოდგენა ნატალია გაბუნია-ცაგარელის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნად. სომხურად ითამაშეს ვოდ. „კრტ-კრტ", ქართულად ვოდევილები „ბნელ ოთახში" და „უბედური დღე". წარმოდგენის დაწყებისას წაიკითხეს ქართულად და რუსულად ადრესი და ბიოგრაფია. წარმოდგენის დასასრულს კი დასდგეს ხუთიოდე ცოცხალი სურათი (ერთი სურათი ვეფხის ტყაოსნიდან). ანტრაქტებში ევროპიული ცეკვა იყო. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა, თუმცა ქართულმა წარმოდგენამ ისუსტა.

წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. შემოვიდა 208 მან. 97 კაპ. ხარჯი 53 მან. 32 კაპ. იყო. დარჩა 155 მან. 65 კაპ. აქედან 75 მან. 65 კ. ნ. გაბუნია-ცაგარლისთვის გაეგზავნა ტფილისში დრამატიულ საზოგადოებას, ხოლო 80 მან. ადგილობრივ ქალთა სკოლის კომიტეტს გადაეცა.

ერთი კვირის წინად რაბათში დასდგეს დედათა სკოლისავე სასარგებლოდ „ავაზაკებიდან" ერთი მოქმედება და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". აქაც ბევრი დაესწრო ხალხი. შემოვიდა 100 მანეთზე მეტი.

---

**ოზურგეთი**. 23 იანვარს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ ქ-ნ ნინო ნაკაშიძის მეთაურობით ოზურგეთის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს: „კალანდობა" — ანდღულაძისა და „...". ... პიესა კარგად ჩაატარეს. პირველ პიესაში ყურადღება მიიქცია თეოფილე ვოგოტიძემ, მოლი ... მეორე პიესაში მარიამ ლომჯარიამ.

დასასრულ გაიმართა ლეკური და ევროპიული ცეკვა.

---

**ქუთაისი**. 2 თებერვალს ადგილობრივ დრამატიულ საზოგადების დასი წარმოადგენს ვასილ ბალანჩივაძის საბენეფისოდ ოსტროვსკის 4 მოქმედებიან ახალ პიესას „ახალი თაობა"-ს და მობენეფისის ვოდევილს „კუდიან ვასკვლავ"-ს. ვასილი ბალანჩივაძე 15 წელიწადია მოღვაწეობს ქუთაისის სცენაზე და საუკეთესო კომიკად ითვლება. იმედი უნდა ვიქონიოთ, საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ერთგულ მუშაკს.

ეს მეორე დღეა, ქუთაისში მართავს საარტისტო საზოგადოების თეატრის რუსული დასი ბარათოვის მონაწილეობით. 25 და 26 იანვარს მან წარმოადგინა ლ. ანდრეევის „ანფისა" და კ. ოსტროვსკის პიესა „ცოცხალი საქონელი" („Живой товар"). თეატრი ორივეჯერ თითქმის სავსე იყო.

---

**სახალხო წარმოდგენა**. სახალხო სცენის მოყვარეთა წრე შაბათს, 30 იანვარს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში წარმოადგენს მეტად საინტერესო დრამას „იმედის დაღუპვა"-ს.

## უცხოეთი

### ობრიენი.

დამოუკიდებელ ირლანდიელ ნაციონალისტების მეთაური ობრიენი, რომელსაც 11 დეპუტატი ჰყავს მოშხრედ, დიდ აგიტაციას ეწევა დანარჩენ ირლანდიელ ნაციონალისტების მეთაურის ჯონ რედმონდის წინაღმდეგ. ობრიენი ამტკიცებს, რომ ჯონ რედმონდი დიდ დანაშაულობას ჩადის ირლანდიის ერის წინაშე მით, რომ იგი ხვალინდელ ქათამსო ავტონომიას — გამოუდგა და დღევანდელი კვერცხი — ირლანდიის ხარჯების შესუმსუქება — ხელიდან გაუშვაო. ობრიენი ამტკიცებს, რომ რედმონდი მოვალე იყო პროტესტი განეცხადებინა იმის წინააღმდეგ, რომ ასკვიტის სამინისტრომ თავის ბიუჯეტით ორი მილიონი გირვ. სტერლ. მეტი დააკისრა ირლანდიასაო; რედმონდს ყურადღებაც არ უნდა მიექცია ლიბერალების პლატონიურ, დითონ დაპირებისათვის — ირლანდიას ჰომრულს მივცემთო. ობრიენი ამბობს: „საქმის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ახალ პარლამენტის ბედის გადამწყვეტი რედმონდი არ იქნება. თუ ასკვიტი დარჩება თავის ადგილას, — რაშიაც დიდი ეჭვი მაქვს — მაშინ იგი ან იძულებული იქნება ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც ირლანდიას შეეხება, ძირიან ფესვიანად შესცვალოს, ან არა და, ჩვენ გავილაშქრებთ სამინისტროს წინააღმდეგ, ბიუჯეტს უარვყოფთ და სამინისტროს დავცემთ."

### გლადსტონის ლიგა.

როგორც ვიცით, არჩევნის დროს, ლიბერალური პარტია მოულოდნელად ძლიერ დამარცხდა სოფლის ოლქებში. ლიბერალურმა პარტიამ გადასწყვიტა ამას იქით უფრო ბეჯითი აგიტაცია გასწიოს სოფლებში. ამ აზრით პარტია აარსებს განსაკუთრებულ ლიგას გლადსტონის სახელობაზე.

### შრომის ბიუროები.

წარსულ კვირას ლონდონსა და ინგლისის სხვა პროვინციალურ ქალაქებში, უნდა გახსნილიყო 83 სახელმწიფო ბიურო მუშების დასაქირავებლად. ეს ბიუროები წესდება იმ ახალ კანონის ძალით, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა წარსულ წელს, და დაექვემდებარებიან ვაჭრობის სამინისტროს, რომლის სათავეში ამ ჟამად დგას ცნობილი რადიკალი, ნიჭიერი ახალგაზდა უინსტონ ჩერჩილი. მომავალ 6 თვის განმავლობაში კიდევ გაიხსნება 150 ბიურო. მათ დაარსების ინიციატორები ჰფიქრობენ, რომ ბიუროები მოაწესრიგებენ მუშების დაქირავების საქმეს და გაადვილებენ მოკლე მომავალში უმუშევრობისაგან დაზღვევის შემოღებას.

---

ან პლატონს და არისტოტელს. იმის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია, რომ ბევრისთვის ჩვენ შორის მძიმე უსიამოვნო ტვირთია უკვე თავის თავად, იმისდა მიუხედავადაც დამაკმაყოფილებელს შედეგამდე მიიყვანს ის თუ არა. სადღაა აქ ბედნიერება?

და კიდევ ერთი ახალი პასუხი და კიდევ ერთი ახალი ევდემონისტური სისტემა ფილოსოფიურს ეთიკაში: ბედნიერება სიამოვნებაშია, მაგრამ არა წუთიერში, არა ყოველსგვარში, როგორც არისტიპოსს ეგონა, არამედ გამტან, ხანგრძლივს კმაყოფილებაში, ირწმუნება ეპიკურეიზმი. არსებობს სიამოვნებათა თავისებური სკოლა. გონებრივი და ზნეობრივი ცხოვრების ხელოვნება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება მომენტის მიერ დამონებულ ცხოველისაგან, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელმძღვანელობს ინდივიდუალურ მთლიანობის იდეით და სცდილობს საბოლოო ბალანსი გადაჰხაროს კმაყოფილებისა და სიხარულისაკენ: ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი უპირატესობას აძლევს უფრო საიმედო და მაღალ სიამოვნებათ დაბალ და საეჭვოთა წინაშე. მხოლოდ ის არსებობაა ბედნიერი, რომელშიაც ჯანსაღ და ბუნებრივ სიამოვნებათა ჯამი სჭარბობს ტანჯვის და მწუხარების ჯამს.

მაგრამ თუ მართლაც სიამოვნება უდიდესი სიკეთე, ხოლო ტანჯვა უდიდესი ბოროტება, თუ მათ გარდა არა რა არსებობს-რა, რასაც დამოუკიდებელი დადებითი და უარყოფითი ღირებულება ჰქონდეს, თუ მხოლოდ ისინი არიან ყოველ ზნეობრივი მოქმედების საზომი, მაშინ როგორღა შეიძლება „ნამდვილ" და „ბუნებრივს" სიამოვნების გამოყოფა „არანამდვილისა" და „არაბუნებრივთაგან". სადღაა კრიტერიუმი, რომლითაც ეპიკურეიზმს შეუძლიან ისარგებლოს, როცა ის მაგ. გონებრივს სიხარულს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ხორციელს კმაყოფილებას? განა სილაღის გრძნობა კარგი სადილის შემდეგ ისევე ბუნებრივი არ არის, როგორც კარგი რომანით ან კარგი მუსიკით დატკბობა? ჰედონიზმი იძულებულია უარჰყოს პრინციპიალური განსხვავება სიტკბოებისა და სხვა და სხვა შესაძლებლობის შორის, თუ მას არა სურს აუხსნელს წინააღმდეგობაში ჩავარდეს თავისსავე თავთან. თუ მართლაც მხოლოდ სიამოვნებაა აბსოლუტური სიკეთე და მიზანი მორალურ შემოქმედებისა, მაშინ დასადასტურებელია ყოველი სახე ამ გრძნობისა, რომელიც კი რეალურად არსებობს ადამიანის შეგნებაში, პირუტყვული იქნება ის თუ ღვთაებრივი. ჰედონიზმისთვის ხომ სხვა უფრო დიდი ღირებულება არ არსებობს, რომლის თვალთსაზრისით შეიძლებოდეს სხვა და სიამოვნებათა და სიტკბოებათა ღირსების გაზომვა, ზოგის მიღება და ზოგის კიდევ უარყოფა!

არა ნაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია მეორე შეურიგებელი წინააღმდეგობა, რომელშიც გაება ეპიკურეიზმი და რომელიც საბედისწერო აჩრდილივით დასდევს თან ყოველს ჰედონისტურს სისტემას დღევანდელ დღემდე. ზნეობრივად სრულ და იდეალურ მდგომარეობის მისაღწევად, ამ მორალის მიხედვით, საჭიროა ყოველივე ტკივილის, მწუხარების და უსიამოვნების მოსპობა ან, ყოველს შემთხვევაში, მინიმუმამდე შემცირება და სულიერ ნეტარების და შეუშფოთებელ მშვიდობის მაქსიმუმამდე აყვანა განმტკიცება. მაგრამ სიტკბოების მოტრფიალეთა სავალალოდ ადამიანის ბუნება, როგორც სხვა მგრძნობიარე ორგანიზმიც, სწორედ ისეა მოწყობილი, რომ თითქმის ყოველი ინტენსიური სიამოვნება აუცილებლად წინასწარ უსიამოვნებას ჰგულისხმობს და თავის ალმგზნებს მიმზიდველობას დაჰკარგავდა, რომ ის არასასურველი მდგომარეობა არ მიუძღოდეს წინ. ვისაც შიმშილის, წყურვილის და სიცივის მტანჯველი უსიამოვნება არასოდეს არ განუცდია, ის ვერც ფიზიკურ დაკმაყოფილების და გათბობის სიამოვნებას იგრძნობს მთელის შესაძლებელ სიძლიერით. ვინც არ იცის, რა საშინელია საყვარელ საგნის დაკარგვა, ის ვერც საუნჯის ქონას დააფასებს ღირსეულად. მუდმივ მაძღარნი და მუდმივ უზრუნველყოფილნი ხშირად მოკლებულნი არიან იმ „ბედნიერებას", რომელსაც საწყალი მუშა გრძნობს, როცა შავი პურით თავის შრომისგან და ზრუნვისგან დასუსტებულს სხეულს აკმაყოფილებს.

ჰედონიზმი იმავე შტოს სჭრის ძირში, რომელზედაც თითონ ზის: მოსპეთ უსიამოვნებასა და ტანჯვის წყაროები და დაინახავთ, რომ მასთან ერთად გაშრება სიამოვნების და სიხარულის ბევრი ანკარა რუც, რომელნიც ასე ძვირფასნი არიან თვით იმ მორალისტებისათვის. ეს ორი გრძნობა მოპირისპირე შესაძლებლობანი არიან ერთი და იმავე ემოციონალურ მიმართულებისა და ერთი მათგანის აღმოფხვრა მეორეს კი არ გააძლიერებდა, არამედ პირიქით თან გაიყოლებდა და, მაშასადამე, სულიერ კმაყოფილების მაგიერ რეზიგნაციას ან შტერს გულგრილობას გამოიწვევდა. ეს გარემოება კარგად ესმოდათ ისეთს ღრმა მოაზროვნეთ, როგორიც იყვნენ პლატონი და შოპენჰაუერი და თუ ის ჰედონისტებისთვის აქამდის საიდუმლობად რჩება, ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ მათ უმეტეს ნაწილად სასურველი ფილოსოფიური სიღრმე აკლიათ, არამედ იმათაც, რომ მათ აბრმავებთ იმ მუდმივ სანატრელ სიამოვნების ელვარება.

კერძოდ ეპიკუროსის და მის რომაელ მიმდევართა შესახებ ეს, რასაკვირველია, არ ითქმის: არც თეორეტიული გონება სიმახვილე რელიგიურს ცრუ-მორწმუნოებასთან ბრძოლაში, არც ბუნებრივი კეთილშობილება ზნეობრივს მოქმედებაში მათ არ აკლიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი და არც მეორე არ გამომდინარეობს პირდაპირ მათი ეთიურის მსოფლიო მხედველობის საფუძველთაგან. პირიქით ამ თეორეტიულს საფუძველთაგან წინასწარ მ.ისაზრებათ სავსებით და ჰარმონიულად ეთვისებიან ის სპეციალური დარიგებანი, რომელთაც ისინი იძლევიან „სათნოების" მისაღწევად: განშორება ოჯახურს და საზოგადოებრივს ცხოვრებას და მარტოობა, მოთხოვნილებათა შევიწროება, ეგოისტიური კვიეტიზმი, უყურადღებობა თანაარსთა ჭირ-ვარამის და სოფლის მღელვარებისადმი, უმოქმედობა და პასიური თეორეტიული შემეცნება. ცხოვრების გაღარიბება და გაყინვა ამ ქვეყნიური ნეტარების სახელით! აი ზნეობრივი იდეალი, რომელიც უანდერძა ეპიკურეიზმა ყოველ ხალხთა და დროებათა მომავალ ჰედონისტებს.

**გერონტი ქიქოძე.**

**სუფრაჟისტების განცხადება.** ინგლისელ სუფრაჟისტ-ქალების ხელმძღვანელმა ქალბატონმა პანკხიორსტმა განაცხადა, რომ სუფრაჟისტი-ქალები ჯერ-ჯერობით შესწყვეტენ აქტიურ გამოსვლას და მოქმედებას მინისტრების წინააღმდეგ. ქალები დაიცდიან, სანამ სამინისტრო თავის აზრს გამოსთქვამს ქალების საარჩევნო უფლების შესახებ კანონ-პროექტზე, რომელსაც დეპუტატები წარუდგენენ ახალ პარლამენტს, ისე როგორც წარსულ წლებში წარუდგენდნენ ხოლმე. და თუ მთავრობა წელსაც ყურადღებას არ მიაქცევს ამ კანონ-პროექტს, მაშინ სუფრაჟისტი-ქალები ისევ განაახლებენ „სამხედრო მოქმედებასო".

**რა დაჯდა ინგლისის არჩევნება.** უკანასკნელი არჩევნები ინგლისში დამჯდარა 2 მილიონ გირვ. სტერლინგზე მეტი (20 მილიონ მანეთზე მეტი). ესე ძვირად არც ერთი არჩევანი არ დამჯდარა თურმე ინგლისში.

**1892 წლის პარლამენტი ინგლისში.** ევროპისა, თუ რუსეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ინგლისის საქმეებს. პარლამენტის შეკრებას აღარ უცდის და ეხლავე ცდილობს გამოცნობას, გაამართლებს ინგლისი თავის ძველ სახელს „ქვეყნიერების მასწავლებლისას", ესე იგი მოახერხებს ლორდთა პალატის — ამ თავის პოლიტიკურ სხეულის ხორცმეტის — ალაგმვასა, ირლანდიის ჰომრულის დაწესებას და სხვა დიდ რეფორმებს, თუ ვერა. ამავე გამოცნობას შესდგომია „რუსკია ვედომოსტი"-ში ცნობილი ს. ფორტუნატო. იგი სწერს:

„ეხლა, როდესაც თითქმის სრულად ვიცით ინგლისის არჩევნების შედეგი, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ლიბერალურ სამინისტროს, უირლანდიელებოდ, დაახლოვებით სულ 40 მეტი მომხრე ეყოლება, ვიდრე უნიონისტებს. ამიტომ ყველა კითხულობს, რამდენ ხანს გასძლებს ის სამინისტრო, რომელსაც ასეთი მცირე უმეტესობა ჰყავს. უკანასკნელ სამს პარლამენტში სამინისტროებს დიდი უმეტესობა ჰყავდათ. 1895 და 1900 წლებში არჩეულ პარლამენტში ეს უმეტესობა ეკუთვნოდა კონსერვატიულ სამინისტროს, ხოლო 1906 წელს არჩეულ პარლამენტში — ლიბერალურ სამინისტროს. მაგრამ თუ უფრო ძველ დროის პარლამენტებს გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ ინგლისის სამინისტროს ხშირად ჰყოლია მხოლოდ მცირე უმეტესობა, ხანდახან ხომ სულაც არა ჰყოლია ეს უმეტესობა. პურის კანონების გაუქმებამ, განხორციელებულმა განთქმულ რობერტ პილის მიერ 1846 წელს, ორ ბანაკად გაჰყო კონსერვატიული პარტია, პროტექციონისტებად და ეგრედ წოდებულ პილიტებად (პილის მომხრეებად). 1847 წლის არჩევნების დროს ლიბერალურმა პარტიამ მიიღო მხოლოდ შედარებითი უმეტესობა: მაშინდელი პალატა შესდგებოდა 318 ლიბერალისა, 217 პროტექციონისტისა, 104 პილიტისა და 18 ირლანდიელ ავტონომისტისგან. პარტიების ასეთის დანაწილების გამო მაშინდელ ლიბერალურ სამინისტროს მხოლოდ პილიტების დახმარებით შეეძლო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

ეხლა გავიხსენოთ უფრო ახლო დროის, 1892 წლის დეპუტატთა პალატა. ამ პალატაში ლიბერალებს ჰყავდათ 275 დეპუტატი, უნიონისტებს — 315, ირლანდიელ ნაციონალისტებს 80. ასე რომ ლიბერალების რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო უნიონისტების რიცხვზე. ლიბერალურ პარტიას იმ დროს მეთაურობდა უკვდავი „დიდებული მოხუცი" გლადსტონი, რომელიც ირლანდიას საკუთარ პარლამენტს დაჰპირდა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ირლანდიელი ნაციონალისტები ლიბერალურ პარტიას მიემხრნენ და მათ დახმარების წყალობით დაარსდა გლადსტონის ლიბერალური სამინისტრო, მაგრამ ირლანდიელების მომხრობის შემდეგაც, გლადსტონს სულ 40 დეპუტატი ჰყავდა მეტი უნიონისტებზე. სამინისტროს უმთავრესი კანონპროექტი — ბილი ირლანდიის ჰომრულის შესახებ — მესამე წაკითხვის შემდეგ პალატამ მიიღო მხოლოდ 34 ხმის უმეტესობით. (ეს კანონპროექტი დიდის ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ლორდთა პალატამ). მაგრამ ლიბერალურმა სამინისტრომ, რომლის მეთაურად ჯერ გლადსტონი იყო, მერე ლორდ როზბერი, მაინც სამ წლამდე გასძლო. ინგლისური ლიბერალური გაზეთები ამ ჟამად ხშირად იხსენიებენ 1892 წლის პალატას და უმატებენ, რომ ეხლანდელ ლიბერალურ სამინისტროს, რომელსაც გინდ ირლანდიელებიც არ დაეხმარნენ, მაინც 40 ხმის უმეტესობა ეყოლება, ხოლო ირლანდიელების დახმარებით, 120 ხმის უმეტესობა ეყოლება, დიდ-ხანს შეეძლება არსებობაო. მაგრამ ეხლანდელი საზოგადო მდგომარეობა არა ჰგავს 1892 წლის მდგომარეობას. მაშინ ირლანდიელი დეპუტატები ბუნებრივი მომხრეები იყვნენ გლადსტონის სამინისტროსი, რომლის პროგრამის საფუძველს შეადგენდა ირლანდიის ჰომრული. ეხლა კი თუმცა ასკვიტმა შეიტანა ჰომრული თავის პროგრამაში, მაგრამ ცხადია, რომ მის სამინისტროს უახლოეს და უმთავრეს საქმეს წარმოადგენენ — შარშანდელ ბიუჯეტის დამტკიცება და ლორდთა პალატის რეფორმა. ბიუჯეტზე უნდა შევნიშნოთ, რომ ირლანდიელებმა წინანდელ პარლამენტშიაც მონაწილეობა არ მიიღეს, როდესაც ბიუჯეტს უყარეს კენჭი, ხოლო ახალ პალატაში აირჩიეს 11 ეგრედ-წოდებული დამოუკიდებელი ნაციონალისტი, რომლებიც წინააღმდეგნი არიან ბიუჯეტისა.

ლორდთა პალატის რეფორმას, რადა თქმა უნდა, ირლანდიელები გულწრფელად დაუჭერენ მხარს, რადგან ეს პალატა მთელი მეცხრამეტე საუკუნის დროს აბრკოლებდა ირლანდიის ყოველ რეფორმას, ხოლო 1893 წელს დიდის ხმის უმეტესობით უარ ჰყო დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი ირლანდიის ჰომრულზე. მაგრამ აქ კითხვა იბადება: შეიძლებს ეხლანდელი სამინისტრო ლორდთა პალატის ასეთს რადიკალურ რეფორმას, როგორიცაა საკანონმდებლო „ვეტოს" უფლების მოსპობა. მეფე ძნელად დასთანხმდება ახალ ლორდების დანიშვნას, ან ეხლანდელ ლორდების არ მოწვევას პარლამენტში, ხოლო ასეთ ღონისძიებათ შეუძლებელია ლორდთა პალატის რეფორმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლისის მეფეებს დიდი ხანია აღარ მოუხმარებიათ ასეთი ღონისძიება. ამასთანავე უნდა გავიხსოვოთ, რომ ლიბერალურ პარტიაში ბევრია მორიგების მომხრე ამ საქმეში, ხოლო თუ ლიბერალურ პარტიაში განხეთქილება მოხდება ლორდთა პალატის რეფორმის თაობაზე, ეხლანდელი სამინისტრო უარეს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება.

# ოსმალეთი

**ოსმალურ გაზეთის აზრი ევროპის დახმარებაზე.**

ოსმალურ გაზ. „საბახ"-ი სწერს: „ოსმალეთი არ უნდა ელოდეს დახმარებას ევროპისგან. მას მხოლოდ თავის საკუთარ ძალის იმედი უნდა ჰქონდეს. უცხოელების თანაგრძნობა, თუ დაპირება მეტად ხშირად იცვლება, ირყევა და მოულოდნელად ჰქრება. ამიტომ ახალი რეჟიმი ასე მხნედ შეუდგა ჩვენის ქვეყნის შინაგან ღონიძიებას. უმთავრესი განსაცდელი ოსმალეთს შინაგან მდგომარეობისგან მოელის; წინანდელმა თვითმპყრობელობამ მეტად გაარყვნილი იარები დაუტოვა ახალ წესწყობილებას. ეს იარები უეჭველად უნდა მოვირჩინოთ. ამ საქმეში ჩვენ გვჭირია უცხოელების დახმარება. ოსმალეთი ჯერ ხელუხლებელი ქვეყანაა და ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ უცხოელი კაპიტალისტები მოვიდნენ ჩვენში, მაგრამ პოლიტიკურის მიზნით-კი არა. ჩვენ არა ვჩქარობთ, მაგრამ მაინც არ მოვითმენთ, რომ უცხოელებს ჩვენში მეტი სავაჭრო უფლება ჰქონდეთ, ვიდრე ჩვენ თითონ.

**კრეტის საქმე.**

„რუსკ. ვედომოსტი"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „ევროპის სახელმწიფოები ძლიერა ცდილობენ, რომ ახლო აღმოსავლეთში ცეცხლი არ გაჩნდეს, ესე იგი, რომ კრიტი არ შეუერთდეს საბერძნეთს და ოსმალეთის ეხლანდელი მდგომარეობა შეუცვლელად დარჩეს, მფარველ სახელმწიფოებს შორის მთელი ეს ზამთარი მოლაპარაკებაა გამართული, მაგრამ ეს მოლაპარაკება ისე ზანტად მიდის წინ, რომ ჯერ არ იციან, როდის და რანაირად იმოქმედებენ სახელმწიფოები საბერძნეთსა და ოსმალეთზე. დიპლომატია არა შურობს. კრიტელებს საკუთარის თაოსნობით საბერძნეთთან შეერთება ეროვნულ კრების მოწვევის წამზე ადრე არ შეუძლიათ, ხოლო ეს კრება ჯერ გვიან იქნება მოწვეული, ასე რომ მოლაპარაკება ნელ-ნელა იწარმოვებს და იქნება ჯერ ბევრი რამ შეიცვალოს კიდეც. სახელმწიფოების მოქმედება დამოუკიდებელი იქნება მომავალ ამბებზე, კერძოდ იმაზე, თუ რანაირად იქნება შედგენილი ოქმი საბერძნეთის ეროვნულ კრების მოწვევას შესახებ და როგორ მოიქცევა საბერძნეთის სამხედრო ლიგა. დიპლომატიას დიდი იმედი აქვს საბერძნეთის მთავრობის; სამხედრო ლიგის და მომავალ ეროვნულ კრების კეთილ გონიერებისა. კარგ დამამშვიდებელ ნიშნად მიაჩნიათ ისიც რომ სამხედრო ლიგის მეთაური ზორბასი სამხედრო მინისტრად დაინიშნა. დიპლომატიის აზრით, ოსმალეთის ჯარის მობილიზაცია ერთის მხრივ სასარგებლოცაა, რადგან ცოტა არ იყოს ცივ წყალს ასხამს ბერძენთა ერის ზოგიერთ მეტის მეტად ატაცებულ მეთაურს, მაგრამ დიპლომატიას, მიუხედავად ისეთის იმედებისა, მაინც საჭიროდ მიაჩნია ბეჯითად ადევნოს თვალყური ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ამბებს, რადგან იქ უბრალო ნაპერწკლ სვანაც შეიძლება ძლიერი ცეცხლი გაჩნდეს.

# რუსეთი

✦ **პროტესტი.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეებს პროტესტი შეუტანიათ სათათბიროში, თავმჯდომარის ამხანაგი ვოლკონსკი „ჟიდებს" უჭერს მხარს და ხალხის ნამდვილ დამცველებს კი არავითარ ყურადღებას არ აქცევსო. ამასთან ერთად სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით მარკოვი მეორე დუელში გამოიწვევს ვოლკონსკის.

✦ **კანონ-პროექტის უკან წაღება.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ იუსტიციის მინისტრი უკან წაიღებს ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონ-პროექტსო. მიზეზს არ ასახელებენო.

✦ **შუამდგომლობა.** პეტერბურგის ქალთა კლუბს პრემიერ-მინისტრ სტოლიპინთან შუამდგომლობა აღუძრავს, ქალებს უფლება მიეცით ნაფიც მსაჯულებად გამოვიდნენ ხოლმეო.

✦ **ჯარიმა.** ოქტომბრისტების ლიდერს გუჩკოვს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესთვის, ხომიაკოვისთვის უთხოვნია, დააჩქარეთ დეპუტატების მიერ შემოტანილი კანონ-პროექტის განხილვა, რომლითაც სახელმწიფო სათათბიროს რამდენიმე სხდომიდან განდევნილ დეპუტატს ჯამაგირი უნდა გამოერიცხოთო. გუჩკოვის აზრით ეს ზომა ცოტად თუ ბევრად გავლენას იქონიებს პურიშკევ ჩაა, მარკოვ მეორესა და მათ ამხანაგებზე.

✦ **ატკარსკის რეალური სასწავლებელი.** „რეჩს" ატკარსკიდან შემდეგს ატყობინებენ: ამ დღეებში ღამის 12 საათზედ ადგილობრივ რეალურ სასწავლებლის და ქალთა გიმნაზიის დირექტორმა შიჩენკომ თავის ორ თანაშემწეთი მთელი ქალაქი შემოიარა, უნდა გაეგო მოწაფეები ღამე რას აკეთებენ. ამასთან მეორე დღეს უქმე დღე იყო და დირექტორის ბრძანებით კი მოწაფეებს, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს უქმი დღის წინა ღამე სახლში უნდა გაეტარებინათ. დირექტორი უპირველეს ყოვლისა ქ-ნ მინინის სახლში გაემგზავრა, ვიღაცას ეთქვა, მინინის საცეკვაო საღამო აქვს გამართული, რომელზედაც მოსწავლეებიც არიან მიწვეულნი. დირექტორი მონინმა სახლში არ შეუშვა, მე თქვენ არ დამიპატიჟნიხართ და ძალიან უზრდელი ბრძანებულხართო. დირექტორი ცხვირ-ჩამოშვებული ეზოში გამოვიდა, მაგრამ დახეთ უბედურებას. ეზოში ძაღლმა მისი თანაშემწე დაგლიჯა და ამას კიდევ ზედ ის დაერთო, რომ გაჯავრებულმა მეეზოვემ დაუპატიჟებელი სტუმრები ლანძღვა-გინებით გაისტუმრა. დირექტორი ახლა სხვა სახლებისკენ გაემგზავრა, მაგრამ აქაც არა ნაკლები „უბედურებანი" შეემთხვა. ზოგიერთ სახლში არ შეუშვეს, ზოგიერთიდან ლანძღვა-გინებით გამოისტუმრეს და ზოგან კიდევ კინაღამ მუშტზე და კრივზე მიდგა საქმე. დირექტორი იძულებული გახდა ისევ დაბრუნებულიყო სასწავლებელში. მეორე დღეს დირექტორს საიდანღაც გაეგო იმ მოწაფეების გვარები, რომლებიც მინინის სახლში გამართულ საცეკვაო საღამოს დაესწრნენ. ზოგიერთი მათგანი დასაჯეს. დირექტორის დაგლეჯილი თანაშემწე კი დააჯილდოვეს!!

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ოდესაში 3, უფაში 1, ტომსკში 1, ვარშავაში 1, მოსკოვში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, სარატოვში 2, პეტერბურგში 1, იალტაში 1, ოდესაში 2, ვარშავაში 1 კაცი.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** „რანნეე უტრო" იუწყება: სახელმწიფო სათათბირ ა თებერვლის პირველ რიცხვებში განიხილავს სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ კანონ-პროექტს. სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს ნაციონალისტების და მემარჯვენეების ფრაქციაში დიდი აურ-ზაურ ასტყდება, რადგან ორთავე ფრაქციების მღვდელი-დეპუტატები კანონ-პროექტს დაუჭერენ მხარს. კანონ-პროექტია წინააღმდეგ წავლენ მხოლოდ ეპისკოპოსები ევლოგი და მიტროფანე და მღვდელი ვერასკინი. ფრაქციების ლიდერებს უკვე მოლაპარაკება გაუმართავთ „მღდელ-ტე" წევრებთან (სულ 25 მღვდელია კანონ-პროექტის მომხრე), მაგრამ ამაოდ.

✦ **ახალი საუნივერსიტეტო წესდება.** „ბაკუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: საერო განათლების მინისტრმა შვარცმა მინისტრთა საბჭოში ხელმეორედ აღძრა საკითხი, ახალი საუნივერსიტეტო წესდება 87 სტატიის ძალით განვახორციელოთო. პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი წინააღმდეგია ამ აზრისაო.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი ანგარიში. 20 ივლისს 1909 წ. დაბა ხონში (ბაღში) გაიმართა სეირნობა, ბაზარი და ბავშვთათვის თამაში ილიას ფონდის სასარგებლოდ. შემოვიდა: ბილეთებისაგან 79 მ. 40 კ., ბაზრისაგან 80 მ. 10 კ., ბუფეტისაგან 69 მ. 85 კ., სულ 229 მ. 35 კ. დაიხარჯა: საბაზრო ნივთების ყიდვაში — 20 მ. 30 კ., სანოვაგე ბუფეტისათვის — 42 მ. 86 კ., მარკები ბილეთებისათვის — 9 მ. 52 კ., ზურნას 8 მ., პატენტის და ნებართვის აღება 9 მ., აფიშები და ბილეთები — 3 მ. 80 კ., კიოსკების მოწყობა — 9 მ. 20 კ., მუშებს და მზარეულს — 8 მ., ყარაულებ — 2 მ., ყინული — 6 მ. 40 კ., მემუსიკეს გზის ხარჯი 1 მ., დაკარგულ ორი ლამპის ფასი 3 მ. 30 კ., წვრილი ხარჯი 4 მ. 74 კ., სულ 128 მ. 12 კ. წმინდა დარჩა 101 მ. 23 კ. რაც უკვე გაეგზავნა ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ღრმეს მადლობას ვუძღვნით მემუსიკეთ და იმ პირთ, რომელნიც დაგვეხმარნენ სეირნობის გამართვაში და აგრეთვე ბაზრისთვის ნივთების შემომწირველთ. უკანასკნელთა სია ქვემოდ იბეჭდება.

სეირნობის გამგენი: **ეკატერინე ბახტაძისა, ვიქტორ ქუთათელაძე.**

ილიას ფონდის შემომწირველთა სია: დავით ვასილის ძე გლუშაკოვი 3 მ., ტრიფონ ტაბუკაშვილი 3 მ., პოლიევქტ ლახარის ძე კიკალიშვილი 2 მ., გიორგი პეტრეს ძე ბახტაძე 2 მ., ანნა პეტრეს ასული სანოძე 2 მ., გერმან ბარაჩი 1 მ. 66 კ., თითო მანეთი: სპირიდონ ნიჟარაძე, იასონ გრიგოლაშვილი, საშა როსტომაშვილი, პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი, ოლღა იოსების ასული გორდეზიანი, ალექსანდრე ბახტაძე, მარიამ ლევანის ასული მესხი, შალვა ანტონის ძე მიქელაძე, თამარა ბახტაძე, არჩილ ბახტაძე, ივანე ივანეს ძე ქუთათელაძე, ლავრენტი ბესარიონის ძე ხამაშურიძე, მღვდელი სპირიდონ გორდულაძე, ლიუბა პეტრეს ასული სანოძე, თინათინა თეოდორეს ასული ბურჭულაძე, ეკატერინე ვასილის ასული ბახტაძე, მათე ვასილის ძე ბახტაძე; სამ-სამი აბაზი: ვლადიმერ მიხეილის ძე აბაშიძე, ათინა ბართლომეს ასული მებუკისა, ვალერიან მერაბის ძე მებუკე; ათ-ათი შაური: ნესტორ სარტანია, ბაბილინა რუხაძე, მღვდელი ნიკიფორე ბარაბაძე, სევერიან ჩიქოვანი, ბესარიონ ნადარეიშვილი, ისლამ კარტოზია, ნატალია სანოძისა, ივანე ვასილის ძე გრინიევი, ელისაბედ ქორქოლიანი, იასონ ქორქოლიანი, გრიგორი თომას ძე ბახტაძე, სოფიო ნიკიფორეს ასული ბახტაძისა, ივანე სიმონის ძე შარაშიძე 45 კ. ორ-ორი აბაზი: ბესარიონ ქიქინაძე, გერასიმე რუხაძე, მღვდელი კოტე ქუთათელაძე, სეფე დემეტრაშვილი; ექვს-ექვსი შაური: ნინა ცაგარეიშვილი, გიორგი კობრეიძე, ანტონ ბალმუცი, ელენე ბალმუცი, ეკატერინე შარაბიძე; ხუთ-ხუთი შაური: ვახტანგ მესხი, ლევან მესხი, შალვა ხაჭაპურიძე, მიშა რატიანი; თითო აბაზი: სოფიო ნიჟარაძისა და ნინა ნიჟარაძე.

---

1909 წ. 20 ივლის ილიას ფონდის სასარგებლოდ ხონში გამართულ ბაზრისთვის შემომწირველთა სია*): მიხაილ ივანეს ძე სანოძე, გიორგი ქავჭანიძე, ღენტორ ქავჭანიძე, ალექსი მაღლაკელიძე, დავით ფანტულაია, სიმონ ელიგულაშვილი, ბესარიონ ქუთათელაძე, იაგორ სანოძე, ათანასე კაკაბაძე, მელიტონ რუხაძე, აკაკი მებუკე, მოსიკო ქელიძე, ერისთო ქავჭანიძე, პავლე ქავჭანიძე, ერისთო სანოძე, დავით გლუშაკოვი, ბესარიონ ვაშაკიძე, კოსტა ქუთათელაძე, სილბისტრო სალარაძე, გიგო ქავჭანიძე, სოლომონ ყრუაშვილი, მოსე მაჩალაძე, ისააკ წუწუნავა, დიმიტრი ჯალაღანია, ალიკო ჩიმაკაძე, დიმიტრი ჯღარკავა, ვასილ აბზიანიძე, კოლია რუხაძე, ალექსანდრე თვალოძე, ილიკო ეფრემიძე, პართენ ქავჭანიძე, დათიკო გაგუა, სარდიონ კეთილაძე, ივანე კირტაძე და სამსონ ჯიშკარიანი, ვლადიმერ გოხოკიძე, ივანე ხუჭუა, ნიკიფორე და მარკოზ ჩხენკელი, გიორგი უგრეხელიძე, გერასიმე ბუაძე, გერასიმე რუხაძე, სარდიონ მაჭარაძე, იასონ რუხაძე, ფილიპე მაჭარაძე, კოსტა ბართაძე, გიორგი შელია, სერაპიონ დაქავა, ვანო ბახტაძე, ერისთო ჩიხლაძე, კოლია ჯღარკავა, ვლადიმერ ჩარგეიშვილი, კოწია გორდაძე, გიორგი კობრეიძე, სევერიანე ქუთათელაძე, ივანე სალარიძე, ლავრენტი რუხაძე, ვარდენ ბახტაძე, ივანე ღვინცაძე, ბიქტორ გარდაფაძე, პეტრე და იულო კუპრეიშვილები, კირილე კაკაბაძე, პლატონ ფანცულაია, პორფირე სანოძე, ისლამ კარტოზია, ანჯაფარიძე, სოკრატ ჩოგოვაძე, პარმენ ავალიანი, ივანე მენაბდე, გერასიმე სანოძე, ალექსანდრე წუწუნავა, კატო ჯავახიშვილი, ვასილ მიქაძე, კოლია ყუფარაძე, ილარიონ სილაგაძე, ისიდორე ტაბიძე, კვერნაძე, ერმილე გორდაძე, იოსებ კ კაპაძე, იაკობ კახაძე, ნესტორ ტაბიძე, სიმონ ტაბიძე, იაგორ მიქაძე, პ ვლე ქავჭანიძე. ივანე კენქერაძე, ისიდორე სიმონიძე, ალექსი გეორგბერიძე, პეტრე უგულავა, ილიკო ყუფარაძე, ილიკო ოთიაშვილი, ონისიმე ფარულავა, გიორგი სანოძე, მელიტონ არაბაძე, გიგო ძაძამია, კოსტა რუხაძე და ილარიონ ხაჭაპურიძე, ილიკო აფხაზავა, გიგო დანელია, აკაკი სიჭინიძე, ბესარიონ ქაშიბაძე, მაქსიმე ბონდარენკო, ალექსი მაგნაძე, ლუკა ქავჭანიძე, ილიკო ქაცარავა, ბესარიონ ნადარეიშვილი, ვალიკო წვერავა, ყარამან გვაზავა, იოსებ ბახტაძე და გიორგი მაჭარაძე, სამსონ ბახტაძე, ალექსი მაჩალაძე, პავლე ჩხენკელი, ალექსანდრე ლეჟავა, იასონ აბესაძე, გერასიმე სულაბერიძე, პლატონ ბახტაძე, ნინა ბახტაძე, ემელია ქუთათელაძე, თინათინა ბურჭულაძისა, ნატალია გაბისონია, მათე ბახტაძე, ბესარიონ აბაშიძე, კოსტა დეისაძე, ამბაკო ქავჭანიძე, დიმიტრი ივანეს ძე მელია, იოსებ სილოგავა, გიორგი ჯიქია, მიხაკო გარუჩავა, კოსტა ჩარგეიშვილი, პავლე კაკაბაძე, პავლე ჯღარკავა, იოსებ გურეშიძე, პლატონ ჩარგეიშვილი, ანტონ ყუფარაძე, ვიქტორ რუხაძე, ერისტო უგრეხელიძე, ბიჭიკო სანოძე, სერაპიონ ბახტაძე, ლუკა ჩხენკელი, ირაკლი ქაცარავა, გიორგი ბახტაძე, მერაბ ბახტაძე, სევერიანე წვერავა, კოსტა ჩიხლაძე, კოლია ცაგარეიშვილი, ილარიონ კუქავა, სარდიონ ქაშიბაძე, ნიკოლოზ ყუფარაძე, იოსებ ხუროძე, ილარიონ ტაბიძე, მიხაკო სალარაძე, ტრიფონ ფანჯავიძე, ერისტო სანოძე, გიგო ქავჭანიძე, პავლე ჩხენკელი, დათიკო ჯანჯღავა, პოლიკარპე ქელბაქიანი, ერისტო ლომიძე, პავლე დაითაძე, ალექსი ფარცხალაძე, სერგო ქელიძე, ფარნა გვაზავა, სერგო ლომიძე, სიმონ ქავხიწაძე, პავლე ქავჭანიძე, სევერიანე იმედაძე, ილარიონ დოჭვირი, ვანო აბაშიძე და ანდრია დავითის ძე ბახტაძე.

*) ვბეჭდავთ მხოლოდ შემომწირველთა გვარსა და სახელს და უადგილობისა გამო ვტოვებთ შემოწირულ ნივთებს. რედ.

---

# კალენდარი

იანვარი 31 დღე

**29**

ახალი სტილით 11 — [illegible] 1 დღისა

29 დღე წლის თავიდან. რჩება 336 დღე.

## პარასკევი

**მართლმ.** აღმოყვ. ნაწილთა წმ. ეგნატისა.
**კათოლ.** წმ. ფრანცისკა და კონსტანტინესი
**გრიგორ.** მარხვა.
**მაჰმადიან.** ჯუმა 30 რ.
**ებრაელთა** იომხამიშ 2 რ.
უახლოესი უქმე სამშაბათს, 2 თებერვალს.

# განცხადებანი


**ექიმი** ა. ი. შჩერბინინა
ველიკოკნიაზის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი.
(100—1031—10)

ვ. ყიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**იყიდება** ავლაბარში 200 ოთხკ. საჟ. მიწა. პირობების გაგება შეიძლება „სინათლის" სტამბაში, რუსის ქუჩა, N 3.

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶
**მოსავალი**
**წელიწადი მეორე**
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეებ ს **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
**„ნაკადული"**
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» — ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები». — ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და" — ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა — სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად — შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი — სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი — სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**
**მომავალი**
**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.**
**გაზეთი ღირს:** ტფილისსა და ტფილისს გარეთ: ერთი წლის 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: ტფილისში 2 მან. 20 კაპ., ტფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. ერთი თვით: ტფილისში 80 კაპ., ტფილისს გარეთ 90 კაპ.
◀ **ცალკე ნომერი ერთი შაური** ▶
**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში „მომავალი"-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფში, ქუთაისში ის. კვირიკაძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან — წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში — მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.
რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3. ზემო სართული.
**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, тип. [„Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.
(4—4)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.